საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

NCDC 2 23 00053296 18/01/2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს,

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, ''გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების მე - 4 მუხლის შესაბამისად განიხილა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან № 21/8263 წერილით გადმოგზავნილი ქ.ბათუმში, დასახლება მინდასა და კოტე აფხაზის ქ. N43, 47, 53-ში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების სკრინინგის განცხადება, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების შესახებ.

წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გეგმარებითი ერთეული სულ მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს და მათი საერთო ფართობი შეადგენს 9745,00 კვ.მ-ს. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე -3 მუხლის ''დ'' პუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომ - გზშ) შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით გულისხმობს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენასა და შესწავლის პროცედურას იმ დაგეგმილი საქმიანობებისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება აღნიშნული კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. კერძოდ, გზშ-ს ექვემდებარება 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (კოდექსის დანართი II, პუნქტი 9.2).

ზემაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული გეგმარებითი ერთეულის ჯამური ფართობი არ აჭარბებს 10 ჰა-ს, დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას.

პატივისცემით,

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად